კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში:

საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება

თბილისი, 2024



UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

კვლევის ანგარიში

კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება

თბილისი, 2024

პუბლიკაცია მომზადდა პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ კონტრიბუციით, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევა მომზადებულია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ხელშეწყობით, შვედეთის მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. კვლევის ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ (ISSA). ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-ის, UNFPA-ისა და შვედეთის შეხედულებებს.

შინაარსი

შეჯამება 7

შესავალი 12

მეთოდოლოგია 12

შერჩევის მახასიათებლები 12

საველე სამუშაოები 13

თავი 1: სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 14

თავი 2: დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ 19

- დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ 19
- მრავალფეროვნებასა და სექსუალობასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები 22
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული დამოკიდებულებები 23

თავი 3: ქალი და ლიდერობა 24

- ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში 24
- პოლიტიკური ჩართულობა 26
- ქალები და კარიერა 27

თავი 4: ოჯახური ურთიერთობები და გენდერული დინამიკა 31

განსხვავებები განათლებასა და შემოსავლებს შორის 31

გადაწყვეტილების მიღება წყვილს შორის 32

აუნაზღაურებელი შრომის განაწილება 35

წყვილს შორის კომუნიკაცია 39

თავი 5: ურთიერთობები და ძალადობა 40

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელება 40

ძალადობასთან დაკავშირებული აღქმები და ნორმები 41

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამომწვევი ფაქტორების შესახებ შეხედულებები 42

თავი 6: სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და დედათა ჯანმრთელობა 45

სექსის მიმართ დამოკიდებულებები და კონტრაცეფცია 45

მამების მონაწილეობა ბავშვის დაბადებამდე და შემდგომ პროცესებში 46

კაცების მონაწილეობა ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში 47

თავი 7: ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი 48

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზოგადი მდგომარეობა 48

სხვადასხვა ნივთიერების მოხმარება და შედეგები 48

ფსიქიკური ჯანმრთელობა, სოციალური მხარდაჭერა და ცხოვრებით კმაყოფილება 49

თავი 8: ბავშვობის გამოცდილება 51

მშობლების განათლება და სამსახური 51

კაცების ჩართულობა საოჯახო საქმეებში რესპონდენტების ბავშვობის გამოცილებით 52

გადაწყვეტილების მიღების პროცესში კაცების მონაწილეობა ბავშვობის გამოცდილებით 52

ძალადობის გამოცდილება ბავშვობაში 53

თავი 9: მოვლა და აღზრდა 54

ბავშვებზე ზრუნვის გადანაწილება 54

ბავშვის დისციპლინა 55

თავი 10: გენდერული თანასწორობა, საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა 56

კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის აღქმა 56

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის აღქმა 57

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის აღქმა 57

შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ 58

შეჯამება

კვლევის ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის დამოკიდებულებებს გენდერულ როლებთან დაკავშირებული საკითხების გარშემო. კვლევა ეფუძნება „კაცები და გენდერული ურთიერთობები (IMAGES)“ მეთოდოლოგიას, რომელიც საქართველოში პირველად 2013 წელს იქნა გამოყენებული.

ქალებისა და კაცების მნიშვნელოვანი ნაწილის აღქმები გენდერული თანასწორობის ზოგადი პრინციპების მიმართ მსგავსია და დადებითად ფასდება. კვლევის მონაწილეებისთვის გენდერული თანასწორობა ასოცირდება კაცებისა და ქალების თანასწორ უფლებებთან. მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის სხვადასხვა ინდიკატორის მიმართ კვლევის მონაწილე როგორც ქალთა, ისე კაცთა დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია და ზოგჯერ - არათანმიმდევრულიც.

ათ მონაწილეში ოთხი თვლის, რომ დღეისათვის საქართველოში გენდერული თანასწორობა მიღწეული არ არის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების შეფასებით, გენდერული თანასწორობა გაცილებით დაცულია საკვლევ პერიოდში, ვიდრე წლების წინ.

რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ ქალების გაძლიერება არ ნიშნავს მათ მიერ კაცებისთვის უფლებების ან სამუშაო ადგილების ჩამორთმევას.

მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს იმას, რომ მემკვიდრეობით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის ქონება თანაბრად განაწილდეს, შვილების სქესის მიუხედავად. თუმცა, ამ თვალსაზრისით, საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია კონსერვატიული მიდგომები, რამდენადაც ყოველი მესამე კაცი და ქალების მეხუთედი ან მეტი მიიჩნევს, რომ მშობლების ქონება ვაჟს უნდა ერგოს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ასეთ შეფასებას სოციალურ და კულტურულ ნორმებს უკავშირებენ, რამდენადაც ბიჭი შვილი გვარის გამგრძელებელია და მასზეა ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. 2019 წელთან შედარებით, 2024 წელს გაზრდილია შემთხვევები, როდესაც ქალები ემხრობიან მშობლების სახლის, მიწისა და ოჯახის ბიზნესის თანაბარ განაწილებას. საპირისპიროდ, 2024 წელს კაცები ნაკლებად უჭერენ მხარს მიწის, ძვირფასეულობის, მოძრავი ქონებისა და ოჯახის ბიზნესის და-ძმაზე განაწილებას.

მრავალფეროვნების თვალსაზრისით, კვლევამ მიმოიხილა დამოკიდებულებები სექსუალობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ 2013 და 2019 წლებთან შედარებით ჰომოფობიური დამოკიდებულებები შემცირებულია, ასეთი მიდგომები კვლავ უმრავლესობას წარმოადგენს როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის.

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა დამოკიდებულებები შშმ პირების მიმართ. მონაწილეების დამოკიდებულებები მეტწილად მიმღებლურია, თუმცა, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედისთვის შშმ პირი ოჯახის წევრის ყოლა დისკომფორტის შემცველი იქნებოდა.

კვლევის მონაწილეები ქალების პოლიტიკაში ჩართულობას მხარს უჭერენ და თვლიან, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალების გაზრდილი წარმომადგენლობა პოზიტიური გავლენის მქონე იქნებოდა. ამასთანავე, გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს ქალების პოლიტიკური ჩართულობისათვის კვოტების არსებობას. საბოლოო ჯამში, საზოგადოებისთვის პოლიტიკა კვლავ რჩება კაცებთან ასოცირებულ სფეროდ. ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ შეხედულებები 2019 წლიდან 2024 წლამდე მნიშვნელოვნად არ იცვლება. გამონაკლისს წარმოადგენს კაცი ლიდერების უპირატესობის შეფასება, სადაც 48.5% გაიზარდა 58%-მდე მათ ლიდერობის სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ ცვლილება მეტწილად ქალ რესპონდენტებს უკავშირდება, რამდენადაც ქალებს შორის კაცი ლიდერების უპირატესობის გამზიარებლების წილი 36.7%-იდან 48.4%-მდე გაიზარდა.

ზოგადად, სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით, როგორც ქალები, ასევე კაცები პასიურები არიან. კაცები შედარებით ხშირად დასწრებიან მშვიდობიან დემონსტრაციას (ქალი-27.6%; კაცი-33%), ხოლო ქალებს შედარებით ხშირად გამოუხატავთ აზრი პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ თემებზე (ქალი-17.1%; კაცი-13.8%).

კვლევის მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალებისა და კაცების კარიერული განვითარება მსგავსად მიმდინარეობს და ორივე სქესის წარმომადგენლებს იდენტური შესაძლებლობები აქვთ. რესპონდენტთა ნახევარი ასევე თვლის, რომ ქალს და კაცს თანაბარი წარმატებით შეუძლია ლიდერობა გაუწიოს ბიზნესს, თუმცა, ამ მოსაზრებას 20%-ით მეტი ქალი ეთანხმება, ვიდრე კაცი.

კვლევის მონაწილეები კონსერვატიული ნორმებით განსაზღვრული მოვალეობების

გადანაწილების ფორმის ერთგული რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები ქალის კარიერულ განვითარებას აფასებენ, როგორც პოზიტიურ ნაბიჯს, მათი უმრავლესობა კვლავ მიიჩნევს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული განვითარება. მეორე მხრივ, კაცის მთავარ მოვალეობად ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტებში მსგავსი დამოკიდებულებები შემცირებულია. 2013 წელს, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის, ყველაზე მაღალი იყო რესპონდენტთა წილი, ვისაც მიაჩნდა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული განვითარება (მოსახლეობა-88.5%; ქალი-85.3%, კაცი-92.2%). 2019 წლისთვის მნიშვნელოვნად ნაკლებია რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეხედულებას ეთანხმება (მოსახლეობა-47.9%; ქალი-38%, კაცი-59.5%). 2024 წელს მაჩვენებლები კვლავ შესამჩნევად იმატებს, თუმცა 2013 წელზე დაბალი რჩება (მოსახლეობა- 57.5%; ქალი-51.4%, კაცი-64.5%).

კაცების უმრავლესობა და ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ბოლო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო კარგი ცოლი ამ გადაწყვეტილებას ეჭვქვეშ არ დააყენებს. წყვილის მიერ როგორც ყოველდღიურ ხარჯებზე, ასევე მსხვილ ინვესტიციებზე შეთანხმება ერთობლივად ხდება. თუმცა, მსხვილი ინვესტიციების შემთხვევაში მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას კაცი იღებს. რესპონდენტთა წილი, ვინც 2013 წელს ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საბოლოო სიტყვა ოჯახში გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კაცს უნდა ეკუთვნოდეს (მოსახლეობა-77.8%; ქალი-69.7%, კაცი-86.9%), მნიშვნელოვნად აღემატება მომდევნო წლების შედეგებს. 2019 წელს მოცემულ დებულებას ყველაზე ნაკლებად ეთანხმებოდა როგორც მთლიანად მოსახლეობა, ისე ქალები და კაცები (მოსახლეობა-49.6%; ქალი-34.1%, კაცი-67.9%). 2024 წელს მოცემულ დებულებაზე დათანხმების მაჩვენებელი ქალებში დაახლოებით 13%-ული პუნქტით იზრდება, თუმცა კაცების შემთხვევაში მნიშვნელოვნად არ იცვლება (მოსახლეობა-57.2%; ქალი-46.8%, კაცი-69.2%).

ოჯახში ქალებს თითქმის სრულად საკუთარ თავზე აქვთ აღებული ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა სარეცხის/ტანსაცმლის რეცხვა, სახლის დალაგება, აბაზანის დალაგება და საჭმლის მომზადება. კაცების მხრიდან მეტი ჩართულობა ფიქსირდება სახლის შეკეთებისა და გადასახადების გადახდის საქმიანობებში. ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობას მეტწილად ქალები ითავსებენ, თუმცა ქალებისა და კაცების დაახლოებით 40% ამბობს, რომ ბავშვზე ზრუნვის საკითხები

წყვილს შორის განაწილებულია. მონაწილეების უმრავლესობა (კაცების 85.3% და ქალების 77.1%) ადასტურებს, რომ კმაყოფილია პარტნიორებს შორის მოვალეობების არსებული განაწილებით.

ბავშვზე ზრუნვა საქართველოში დედის მოვალეობად მიიჩნევა. ქალები საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ აქცევენ ბავშვზე ზრუნვის ყოველდღიურ საქმიანობას, როგორიცაა ბავშვებთან სახლში დარჩენა (63.2%), ბავშვებთან თამაში ან სხვადასხვა დასასვენებელი/გასართობი აქტივობის ერთად შესრულება (51.6%), ბავშვის ტანსაცმლისა და საფენის გამოცვლა (75.7%), ბავშვებთან პირად საკითხებზე საუბარი (52.7%), ბავშვების დავალებების შესრულებაში მიხმარება (58.6%) და ბავშვების დაძინება (70.5%). ბავშვზე ზრუნვის პრაქტიკებში ორი საქმიანობა გამოიკვეთა, რომლებშიც კაცები საკუთარ მონაწილეობას 2024 წელს გაცილებით ხშირად ადასტურებენ, ვიდრე 2019 წელს. კონკრეტულად, დადებითი ტენდენცია ფიქსირდება ბავშვის ბანაობისა (18%) და ბავშვის დაძინების (17.9%). თვალსაზრისით. მიუხედავად წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებისა, ეს მონაცემები მაინც აჩვენებს, რომ ბავშვზე ზრუნვა საქართველოში არსებითად ქალის, კერძოდ, დედის, მოვალეობად მიიჩნევა და კაცებს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრიათ.

რესპონდენტების თანახმად, ბავშვობაში ან მოზარდობაში მათი მამა ან ოჯახის სხვა კაცი წევრი იშვიათად ერთვებოდა სახლის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ხოლო 2/5 შემთხვევაში ისინი ასევე არ იღებდნენ მონაწილეობას ბავშვების მოვლაში. მონაწილეების თანახმად, მათი მშობლები ერთობლივად იღებდნენ გადაწყვეტილებას როგორც მსხვილ ინვესტიციებთან, ასევე შვილებთან დაკავშირებით.

საზოგადოებაში ძალადობრივ შემთხვევებზე რესპონდენტების დიდი ნაწილი არ საუბრობს, თუმცა, 10 ქალიდან 1 მაინც ამბობს, რომ გამხდარა ეკონომიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. კაცების თანახმად, 4%-ს არ აღემატება ისეთი შემთხვევები, როდესაც მათ ფიზიკური ძალადობის რაიმე ფორმისთვის მიუმართავთ. მეორე მხრივ, ქალების 4.5% ამბობს, რომ პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა განუცდია. მთლიანობაში, ქალ პარტნიორზე სხვადასხვა ტიპის ძალადობის ფორმები ნაწილობრივ ნორმალიზებულია და მათ კაცები, ქალებთან შედარებით, ხშირად მიიჩნევენ დასაშვებად.

კვლევის მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფორმირებულია გენდერული

თანასწორობის შესახებ კანონისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონის არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ კანონების შესახებ ქალებს უფრო მეტად სმენიათ, ვიდრე კაცებს. ბავშვის მოვლის გამო მამის შვებულების თაობაზე საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ მონაწილეებს შორის ინფორმირებულობა დაბალია და მეოთხედს არ აღემატება. ამასთანავე, ასეთი კანონის არსებობას ქალები მეტად უჭერენ მხარს ვიდრე კაცები. კაცების მეოთხედი თვლის, რომ ბავშვის მოვლის გამო მამის შვებულებისთვის კანონის შემუშავების საჭიროება არ არსებობდა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებები დადებითია. მიუხედავად ამისა, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ოჯახში საქმიანობების გადანაწილება, ბავშვზე ზრუნვის საკითხები და ქალისა და კაცის როლები, მოსახლეობა კვლავ კონსერვატიული ნორმების ერთგული რჩება. მაგალითად, ქალების კარიერული და პოლიტიკური განვითარება კვლევის მონაწილეების მიერ მხარდაჭერილია, თუმცა, არა როგორც პრიორიტეტი, არამედ საოჯახო როლთან შეთავსებული საქმიანობა.

შესავალი

ანგარიში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე აღწერს საქართველოში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ აღქმებსა და დამოკიდებულებებს. რაოდენობრივი კვლევა ეფუძნება „კაცები და გენდერული ურთიერთობები“ (IMAGES) მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც კვლევა ასევე ჩატარდა 2013 და 2019 წლებში. IMAGES მეთოდოლოგია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ოჯახური დინამიკა, გენდერული როლები, საქმიანობების გადანაწილება, ძალადობის სხვადასხვა ფორმები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სხვა.

მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კვლევა ფარავს საქართველოს 11 რეგიონს. რაოდენობრივი კომპონენტი ჩატარდა პირისპირი გამოკითხვის მეთოდით და კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებმა. თვისებრივი კვლევა წარიმართა ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც ჩატარდა საქართველოს შერჩეულ 5 რეგიონში.

შერჩევის მახასიათებლები

რაოდენობრივი კვლევის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 2408 პირისპირი ინტერვიუ. შერჩევა რეპრეზენტატულია ქვეყნის დონეზე.

შერჩევის დიზაინი: შერჩევა დაეყრდნო 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებს. კვლევაში გამოყენებულია მრავალეტაპიანი სტრატიფიცირებული შერჩევა. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონზე შერჩევა განაწილდა პროპორციულად, ხოლო დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა სქესი, დასახლების ტიპი, ასაკი და განათლება მოექცა მაქსიმუმ 5%-იან ცდომილების ზღვარში.

საველე სამუშაოები

კვლევის საველე სამუშაოები წარიმართა 2024 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში.

რაოდენობრივი კვლევა

ინტერვიუები ჩატარდა შინამეურნეობებში „ბოლო დაბადების დღის პრინციპით“, რაც უზრუნველყოფს შერჩევისას შემთხვევითობის პრინციპის დაცვას. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია სქესის ცვლადის მიხედვით.

თვისებრივი კვლევა

10 ფოკუს ჯგუფი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობის კაცებისა და ქალების მონაწილეობით ჩატარდა. მონაწილეთა დაკომპლექტება მოხდა თბილისის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის სამიზნე რეგიონებში. თბილისის გარდა, თითოეულ რეგიონში რესპონდენტები მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან. 10 ფოკუს-ჯგუფური დისკუსიიდან 5 დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ქალებმა, ხოლო 5 დისკუსიაში მოწვეულნი იყვნენ მხოლოდ კაცები.

კვლევის ინსტრუმენტი

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებულია IMAGES კითხვარი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ემთხვევა 2019 წელს გამოყენებულ ინსტრუმენტს, თუმცა ასევე შეიცავს რამდენიმე დამატებით ქვეთავს. კითხვარი მოიცავს დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული ფოკუს ჯგუფების სახელმძღვანელო ესადაგება და პასუხობს რაოდენობრივი კომპონენტის საკითხებს და შედგება ღია კითხვებისგან.

შედარება

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები სხვადასხვა მონაკვეთში შედარებულია კვლევის გასული ორი ტალღის მონაცემებთან, რომლებიც 2013 და 2019 წლებში ჩატარდა. ანგარიშში აღწერილია შესაბამისი ცვლილებები და დინამიკა.

თავი 1

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 2408 რესპონდენტმა. მათ შორის 1380 ქალი იყო (57.3%), ხოლო 1028 - კაცი (42.7%). ყოველი 5 რესპონდენტიდან 4 ეთნიკურად ქართველი იყო, ხოლო რელიგიური მრწამსით - მართლმადიდებელი ქრისტიანი.

გამოკითხვამ დაახლოებით თანაბრად მოიცვა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, მაქსიმუმ 5%-იანი განსხვავებით. კვლევის ყოველი მეხუთე რესპონდენტიდან ერთი 35-44 წლის იყო.

მიმდინარე ურთიერთობების თვალსაზრისით, დაახლოებით ყოველი მეორე აცხადებს, რომ რაიმე ტიპის პარტნიორულ ურთიერთობაშია (ქალი-55.4%; კაცი-57.9%). მეორე მხრივ, თითქმის ყოველი მესამე კაცი (31.6%) და ყოველი მეხუთე ქალი (18.4%) საქორწინო/პარტნიორულ ურთიერთობაში არ იმყოფებოდა.

რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (37.1%) უმაღლესი განათლების მქონეა, ხოლო მესამედი (33.6%) - საშუალო განათლების მქონე.

ცხრილი 1.1: შერჩევის დემოგრაფიული მახასიათებლები

	% ქალი	% კაცი	% სულ	N სულ
ასაკი				
18-24	10.7	17.6	13.9	273
25-34	16.2	16.3	16.2	388
35-44	19.3	18.0	18.7	439
45-54	17.6	16.3	17.0	415
55-64	16.7	17.1	16.9	454
65+	19.6	14.7	17.3	439

	% ორივე	% კაცი	% ქალი	N ქალი
დასახლების ტიპი				
ქალაქი	53.9	59.8	56.6	1305
სოფელი	46.1	40.2	43.4	1103
განათლების უმაღლესი დონე				
ფორმალური განათლების გარეშე, მაგრამ წიგნიერი	0.2	0.0	0.1	3
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური (1-6 კლასები)	0.5	0.2	0.4	9
ზოგადი განათლების საბაზისო საფეხური (7-9 კლასი)	4.1	3.3	3.8	91
სრული ზოგადი განათლება (10-12 კლასი)	30.0	38.3	33.6	808
ზოგად განათლებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლება	22.2	16.5	19.8	477
არასრული უმაღლესი განათლება	4.1	6.0	4.9	118
უმაღლესი განათლება	38.6	35.2	37.1	894
მიმდინარე ურთიერთობების სტატუსი				
დაცილებული ან განქორწინებული	8.0	6.1	7.1	157
დაურეგისტრირებელი ქორწინება, საეკლესიო ქორწინება	3.7	3.0	3.4	86
ცხოვრობს პარტნიორთან ერთად	1.0	.8	.9	29
ჰყავს პარტნიორი, არ ცხოვრობენ ერთად	.6	1.7	1.1	26
არ არის ურთიერთობაში	18.4	31.6	24.5	548
ქვრივი	17.9	4.3	11.6	285
რეგისტრირებული ქორწინება	50.1	52.4	51.2	1273
ეთნიკური წარმომავლობა				
ქართველი	82.7	83.4	83.0	1977
სომეხი	3.9	3.7	3.8	149
აზერბაიჯანელი	10.9	11.7	11.3	236
სხვა	2.4	1.2	1.8	46
რელიგია				
მართლმადიდებელი ქრისტიანი	82.3	79.9	81.2	1949

	ქალი %	კაცი %	სულ %	სულ N
მუსლიმი	13.8	16.2	14.9	315
კათოლიკე	1.3	1.1	1.2	39
პროტესტანტი	.1	.2	.1	5
რელიგიის გარეშე (ათეისტი/აგნოსტიკი)	.3	.2	.2	6
სხვა	2.2	2.4	2.3	94

ქალებზე დაახლოებით ორჯერ მეტმა კაცმა თქვა, რომ ოჯახში შემოსავლის მთავარ წყაროს ისინი წარმოადგენენ (ქალი-25.4%; კაცი-46.9%). კაცებს შორის მხოლოდ 5%-მა დაასახელა პარტნიორი, როგორც ოჯახში მთავარი შემომტანი, ხოლო ქალების შემთხვევაში ასეთი ყოველი მეოთხე იყო. ათიდან დაახლოებით ერთმა რესპონდენტმა დააფიქსირა, რომ ოჯახში საკვები პროდუქტების ყიდვა უჭირთ (9.2%), ხოლო უმრავლესობამ (64%) მიუთითა, რომ ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლია, თუმცა შედარებით ძვირიანი ნივთებისთვის ფულის დაზოგვა უწევს.

როგორც გამოვლინდა, ქალებს კაცებთან შედარებით დაბალი შემოსავალი აქვთ. კონკრეტულად, თვეში 500 ლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს ყოველი მესამე ქალი, ხოლო კაცებს შორის - ყოველი მეოთხე.

ყოველი მეოთხე ქალი და კაცი ოფიციალურად იყო დასაქმებული კერძო ან საჯარო სექტორში. როგორც ქალი, ასევე კაცი რესპონდენტები ძირითადად კერძო სექტორში იყვნენ დასაქმებული, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა კაცებისას.

ცხრილი 1.1: შერჩევის სოციოეკონომიკური მახასიათებლები

	ქალი %	კაცი %	სულ %	სულ N
დასაქმების სტატუსი				
არასდროს უმუშავია	9.8	3.4	6.9	136
სტუდენტი	3.8	4.6	4.2	83

	% ქალი	% კაცი	% სულ	N სულ
უმუშევარი	18.5	12.1	15.5	364
ფორმალურად დასაქმებული	27.5	26.4	27.0	742
არაფორმალურად დასაქმებული	13.7	36.1	24.1	540
პენსიონერი	23.9	15.4	20.0	483
სტუდენტი	1.7	1.1	1.4	33
დეკრეტულ შვებულებაში	0.3		0.2	8
დასაქმების სექტორი				
საჯარო სექტორი	29.8	15.4	21.7	357
კერძო სექტორი	48.0	44.7	46.1	591
თვითდასაქმებული (ფერმერული)	6.2	11.0	8.9	97
თვითდასაქმებული (არაფერმერული)	13.0	28.2	21.5	255
საერთაშორისო	0.4	0.3	0.3	5
არასამთავრობო სექტორი	0.4	0.1	0.2	4
მომვლელი	0.9		0.4	5
შინამეურნეობის შემოსავლის მთავარი წყარო				
თავად	25.4	46.9	35.3	867
პარტნიორი	26.0	4.7	16.1	399
თავად და პარტნიორი	17.6	18.5	18.0	468
მშობლები	12.9	20.8	16.6	342
სხვა ნათესავები	2.1	2.3	2.2	50
პენსია	5.3	1.5	3.5	83
მთავრობის დახმარება (სოციალური შემწეობა)	1.2	0.6	0.9	21
შვილი/შვილები	8.3	3.0	5.8	141
სხვა	1.4	1.7	1.5	37
ყოველთვიური პირადი შემოსავალი				
100 ლარზე ნაკლები	2.1	0.3	1.2	31
101-300 ლარი	4.0	3.5	3.8	91
301-500 ლარი	26.0	14.3	20.6	485

	% ისურ	% კაცი	% სულ	N სულ
501-700 ლარი	10.4	11.4	10.8	269
701-1000 ლარი	12.1	16.5	14.2	337
1000 ლარზე მეტი	20.4	30.6	25.1	620
არ აქვს პირადი შემოსავალი	13.6	9.1	11.5	251
არ აქვს რეგულარული შემოსავალი	3.9	8.6	6.1	144
უარი თქვა პასუხზე	7.4	5.7	6.6	180
რომელი დებულება აღწერს ყველაზე უკეთ თქვენს ოჯახს				
საკვებ პროდუქტს გაჭირვებით ვყიდულობთ	9.4	9.0	9.2	210
საკვებისთვის საკმარისი ფული გვაქვს, მაგრამ უნდა დავზოგოთ ან ვისესხოთ, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ვიყიდოთ	23.0	23.6	23.3	546
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვაქვს, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის და სხვა საოჯახო მოწყობილობების საყიდლად უნდა დავზოგოთ ან ვისესხოთ	41.3	39.9	40.7	994
საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის საკმარისი ფული გვაქვს, მაგრამ მანქანის ან ბინის საყიდლად უნდა დავზოგოთ ან ვისესხოთ ფული	21.6	22.4	22.0	543
ნებისმიერ დროს შეგვიძლია ვიყიდოთ ყველაფერი, რაც გვინდა	2.7	3.2	2.9	76
არ ვიცი ან უარი პასუხზე	2.1	1.9	2.0	39

თავი 2

დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ

დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ

IMAGES-ის კვლევა მიზნად ისახავს გენდერის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის შეხედულებების თავმოყრასა და გაანალიზებას. მოცემული თავი შეეხება გენდერული თანასწორობის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ქალისა და კაცის უფლებები, მრავალფეროვნება და სექსუალობა, მემკვიდრეობა, მოწყვლადი ჯგუფები და სხვა.

გენდერული თანასწორობის მიმართ ქალი და კაცი რესპონდენტების დამოკიდებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ყოველი 5 რესპონდენტიდან დაახლოებით 4 მიიჩნევს, რომ ქალების მიერ უფლებების ან სამსახურეობრივი პოზიციის მოპოვება, ამ უფლებების ან სამსახურის კაცებისთვის ჩამორთმევას არ ნიშნავს. გამოკითხულთა შორის დაახლოებით ყოველი მესამე თვლის, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეული არ არის და ემიჯნება მოსაზრებას, რომ გენდერულ თანასწორობას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის მოაქვს სარგებელი.

2024 წელს, 2019 წელთან შედარებით, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეულია.





2024 წელს რესპონდენტები ნაკლებად მიუთითებენ გენდერულ უთანასწორობაზე (2024-38.7%; 2019-58.7%) და შედარებით იშვიათად უარყოფენ, რომ

გენდერული თანასწორობა მდიდრებისთვის არის სარგებლის მომტანი (2024-43.4%; 2019-58.5%).

2019 წლის შემდეგ, უარყოფითად არის შეცვლილი ქალების მიერ უფლებების გამოყენებასთან და სამუშაო შესაძლებლობებთან დაკავშირებული აღქმები. კერძოდ, 2024 წელს, 2019 წელთან შედარებით, გაზრდილია რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ეთანხმებიან, რომ ქალების მიერ უფლებების მიღება და დასაქმება ნიშნავს ქალების მიერ კაცებისთვის უფლებების (2024-18.7%; 2019-10.3%) ან სამუშაოს (2024-20.7%; 2019-7.6%) წართმევას.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ **გენდერული თანასწორობა გაცილებით დაცულია საკვლევ პერიოდში, ვიდრე წლების წინ.** გაუმჯობესებული მდგომარეობა ვლინდება სხვადასხვა სფეროში ქალთა ჩართულობის, თუ სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მხრივ განათლების, დასაქმების, ჯანდაცვის და ა.შ. სფეროებში. მონაწილეები მიუთითებენ **ქალების ეკონომიკურ გააქტიურებაზე** სხვადასხვა სექტორში; ამავდროულად, ამ ნაბიჯს აფასებენ, როგორც მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობებით განპირობებულს.

სურათი 2.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც არ ეთანხმებიან ან სრულიად არ ეთანხმებიან მოსაზრებებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით



2.1: მემკვიდრეობასთან დაკავშირებული შეხედულებები

კვლევის მონაწილეების მოსაზრებები მემკვიდრეობით ქონების გადაცემის შესახებ კონსერვატიულ შეხედულებებს სცდება და ორივე სქესის შვილს თანაბარუფლებიან მემკვიდრედ ასახელებს. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მემკვიდრეობით გადაცემული სხვადასხვა ტიპის ქონება შვილებზე თანაბრად უნდა განაწილდეს, სქესისგან დამოუკიდებლად. კონკრეტულად, ასეთ ქონებას მიეკუთვნება მშობლების სახლი (61.6%), მიწა (65%), ძვირფასეულობა (72%), ფული, მანქანა და სხვა მოძრავი ქონება (69.4%) და ოჯახის ბიზნესი (66.6%). მეორე მხრივ, კონსერვატიული შეხედულებების მსგავსად, ყოველი მესამე კაცი, ან მეტი მოიაზრებს, რომ ჩამოთვლილი ქონება ვაჟს უნდა ერგოს. ქალების შემთხვევაში, ამას ეთანხმება ყოველი მეოთხე ან მეხუთე.

2019 წელთან შედარებით, 2024 წელს გაზრდილია შემთხვევები, როდესაც ქალები ემხრობიან მშობლების სახლის, მიწისა და ოჯახის ბიზნესის თანაბარ განაწილებას. საპირისპიროდ, 2024 წელს კაცები ნაკლებად უჭერენ მხარს მიწის, ძვირფასეულობის, მოძრავი ქონებისა და ოჯახის ბიზნესის და-ძმაზე განაწილებას.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტები, ერთი მხრივ, იზიარებენ თანასწორობის და სამართლიანი მიდგომის პრინციპს, რომლის თანახმადაც, საკუთრება თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს გოგო და ბიჭ შვილებს შორის. თუმცა, მეორე მხრივ, დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია არსებული სოციალური და კულტურული ნორმების გათვალისწინება, რომელთა თანახმადაც, ბიჭი შვილი გვარის გამგრძელებელია და მას ეკისრება ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა.

მეტი ქალი, თუმცა ნაკლები კაცი ფიქრობს, რომ ქალსა და კაცს შორის მემკვიდრეობა თანაბრად უნდა გადანაწილდეს.



მრავალფეროვნებასა და სექსუალობასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები

კვლევა აჩვენებს, რომ ჰომოფობიური დამოკიდებულებები ჯერ ისევ მყარად არის გამჯდარი საზოგადოებაში როგორც ქალებში, ასევე კაცებში. 2024 წელს დაახლოებით ყოველი მეორე ქალი და 3 კაციდან 2 ამბობს, რომ არასდროს ეყოლებოდა ჰომოსექსუალი მეგობარი (2024: ქალი-55.1%, კაცი-64.5%; 2018: ქალი-54.1%, კაცი-80.7%; 2014: ქალი-60.7%; კაცი-78.1%), ჰომოსექსუალებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება (2024:ქალი-58.7%, კაცი-66.6%; 2019: ქალი-63.9%, კაცი-82.8%; 2013: ქალი-81.9%; კაცი-88.8%;) და მათთვის უხერხული იქნებოდა ჰომოსექსუალი შვილის ყოლა (2024:ქალი-57.5%, კაცი-66.1%; 2019: ქალი-73.5%, კაცი-82.6%; 2013: ქალი-66.9%, კაცი-77.3%;). მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ჰომოფობიურ დამოკიდებულებას ავლენს, აღსანიშნავია, რომ 2013 და 2019 წლებთან შედარებით, 2024 წელს დამოკიდებულებები გაუმჯობესებულია, რაც შეცვლილია, ასევე, სქესის მიხედვით. გამონაკლისია ქალების მიერ ჰომოსექსუალი მეგობრის ყოლა, სადაც 2019 და 2024 წლებში მსგავსი მაჩვენებლები ფიქსირდება.

სურათი 2.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებულ შეხედულებებს



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული დამოკიდებულებები

უმეტეს შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ გამოთქმული მოსაზრებები მიმღებლობით ხასიათდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქალების მეოთხედის და კაცების მესამედის თანახმად, შშმ მეუღლე ან პარტნიორი ვერ ეყოლებოდა (2024: ქალი-26.9%, კაცი-32.4%; 2019:ქალი-25.9%, კაცი-27.4%). დამატებით, ყოველი მეხუთე ქალისთვის და ყოველი მეოთხე კაცისთვის უხერხული იქნებოდა შშმ შვილის ყოლა (2024: ქალი-19.2%, კაცი-25.1%; 2019:ქალი-12.8%, კაცი-15.1%). ამ თვალსაზრისით, 2019 წელთან შედარებით, მცირედი გაუარესება შეინიშნება.

ცხრილი 2.1: პროცენტული მაჩვენებლები ქალებისა და კაცებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შშმ პირებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს

		ქალი %	კაცი %
ვერასდროს შევძლებდი მყოლოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეუღლე ან პარტნიორი	სრულიად ვეთანხმები	11.5	14.6
	ვეთანხმები	15.4	17.8
	არ ვეთანხმები	29.6	26.5
	სრულიად არ ვეთანხმები	23.0	20.2
	უარი პასუხზე	20.5	20.9
ჩემთვის უხერხული იქნებოდა, შეზღუდული შესაძლებლობის შვილი რომ მყოლოდა	სრულიად ვეთანხმები	8.0	13.4
	ვეთანხმები	11.2	11.7
	არ ვეთანხმები	30.8	32.1
	სრულიად არ ვეთანხმები	36.0	27.2
	უარი პასუხზე	14.0	15.6

თავი 3

ქალი და ლიდერობა

ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

მიუხედავად იმისა, რომ ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით, მოსახლეობაში მხარდამჭერი ტენდენციები ვლინდება, რესპონდენტების ცნობიერებაში პოლიტიკა კვლავ რჩება მასკულინურ სფეროდ. 3 რესპონდენტიდან 2 თვლის (58%), რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. სქესის მიხედვით, ამ მოსაზრებას კაცების 69% და ქალების 48.4% უჭერს მხარს.

რესპონდენტები მიუთითებენ ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის პოზიტიურ გავლენაზე. კონკრეტულად, ქალების 71.6% და კაცების 51.8% თვლის, რომ უფრო მეტი ქალის ჩართულობა ქართულ პოლიტიკაში პოზიტიური იქნება ქვეყნისთვის. აღნიშნულ მოსაზრებას 2019 წელს ქალები და კაცები მსგავსი პროპორციით უჭერდნენ მხარს. **მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, მოსახლეობის ნახევარი კვლავ მიიჩნევს, რომ პოლიტიკა კაცებს უფრო შეეფერებათ, ვიდრე ქალებს.** ამ აზრს დაეთანხმა ქალების 48.6% და კაცების 66.1%.

ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ შეხედულებები 2019 წლიდან 2024 წლამდე მნიშვნელოვნად არ იცვლება. გამონაკლისს წარმოადგენს კაცი ლიდერების უპირატესობის შეფასება, რაც 48.5%-დან გაიზარდა 58%-მდე კაცი ლიდერების სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ ცვლილება მეტწილად ქალ რესპონდენტებს უკავშირდება, რამდენადაც

მოსახლეობის 62% მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ქალების ჩართულობა ქვეყნისთვის სასიკეთოა.



ქალებს შორის კაცი ლიდერების უპირატესობის გამზიარებლების წილი 36.7%-იდან 48.4%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ქალების 65.8% ამბობს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად წარმოუდგენია. მთლიანობაში, მოსახლეობის ერთ ნახევარს პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოუდგენია კაცი (50.7%), ხოლო მეორე ნახევარს - ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად (46.7%).

2019 წელთან შედარებით კაცების მიერ კვოტირების სისტემის მიმართ დამოკიდებულება დადებითად არის შეცვლილი, რაც სისტემის მეტ მხარდაჭერაში გამოიხატება (2024-54.1%; 2019-44.4%). მეორე მხრივ, ფოკუს ჯგუფებში დისკუსიები აჩვენებს, რომ კაცი რესპონდენტები ნაკლებად ემხრობიან სქესის ნიშნით კვოტირების მექანიზმს. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში კაცები მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით აღწევენ წარმატებას და ფიქრობენ, რომ ქალებსაც იგივე შესაძლებლობები აქვთ.

ფოკუს-ჯგუფების კაცი მონაწილეები ქალების რაოდენობის სიმცირეს პოლიტიკაში ქალების განსხვავებული პრიორიტეტებითა და ინტერესებით ხსნიან. მათი შეფასებით, ქალს უფრო მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აქვს, როგორიც არის დედობა. კაცი მონაწილეების აზრით, ქალებს ახასიათებთ გადამეტებული ემოციურობა, რაც ვნებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

> *„ქალებს უფრო ახასიათებთ სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება, ასევე, უფრო მეტად მიაქვთ გულთან ახლოს [მოვლენები] და ამიტომ ცივი გონებით ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს“ (31 წლის კაცი; ქ. თელავი).*

ფოკუს ჯგუფებში კაცი მონაწილეები თვლიან, რომ ქალებს კაცებისგან განსხვავებით აკლიათ ლიდერობის უნარ-ჩვევები (დამაჯერებლობა, რისკიანობა და ა.შ.), რაც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის და, მით უფრო პოლიტიკისთვის, აუცილებელია. კაცების მეორე ნაწილისთვის ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მისაღებია. მათი შეხედულებით, ქალებს ისეთი უნარ-ჩვევები აქვთ, რომლებიც მათი ძლიერი მხარეა კაცებთან შედარებით. ესენია: **არაძალადობრიობა, მოლაპარაკებაზე ორიენტირებულობა, სამართლიანობის განცდა და ორგანიზებულობა.**

სურათი 3.1 : პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ იდეას ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ



პოლიტიკური ჩართულობა

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლები დაბალია როგორც ქალებში, ასევე კაცებში; თუმცა, შეინიშნება სქესის მიხედვით გარკვეული განსხვავებები: კაცების მესამედი ამბობს, რომ დასწრებია მშვიდობიან დემონსტრაციას, ხოლო, ქალების შემთხვევაში, ასეთი არის მეოთხედი. მეორე მხრივ, ქალებს (17.1%) შედარებით ხშირად დაუფიქსირებიათ თავიანთი აზრი სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ თემებზე, ვიდრე კაცებს (13.8%).

ცხრილი 3.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებსაც ოდესმე მიუღიათ მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივიზმში

	ქალი %	კაცი %
დასწრებიხართ თუ არა ოდესმე მიტინგს/მშვიდობიან დემონსტრაციას?	27.6	33.3
მიგიმართავთ თუ არა საჯაროდ ხალხისთვის?	5.2	6.4
დაგისვამთ თუ არა კითხვა საჯარო შეხვედრაზე?	9.6	9.3

	ქალი %	კაცი %
გიმუშავიათ თუ არა ადგილობრივ ორგანიზაციასთან რელიგიურ, სოციალურ, საგანმანათლებლო ან კულტურულ სფეროებში?	5.1	5.6
გაგიკეთებიათ თუ არა რაიმე შეხვედრების/ თავყრილობების ორგანიზება?	6.1	6
მოგიწერიათ თუ არა ოდესმე ხელი რაიმე პეტიციაზე?	11.3	11.3
გამოგიხატავთ თუ არა თქვენი აზრი პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ თემებზე?	17.1	13.8

ქალები და კარიერა

მოსახლეობის ნახევარს მიაჩნია, რომ ქალს და კაცს თანაბარი წარმატებით შეუძლია უხელმძღვანელოს ბიზნესს. მეორე მხრივ, ამ მოსაზრებას 20%-ით მეტი ქალი ეთანხმება, ვიდრე კაცი. 2019 წელთან შედარებით, ქალების მოსაზრება 56.2%-იდან 62.2%-მდე განმტკიცდა, ხოლო კაცების შემთხვევაში პირიქით, 53.5%-იდან 43.6%-მდე შესუსტდა. 2019 წელთან შედარებით, კაცების 10%-ული პუნქტით მეტი თვლის, რომ ბიზნესში უკეთესი ლიდერი კაცია (2024-51%; 2019-41.7%).

„ქალს და კაცს თანაბარი წარმატებით შეუძლია უხელმძღვანელოს ბიზნესს.“

ამ მოსაზრებას ქალების უმრავლესობა ეთანხმება.



თუმცა, გაიზარდა იმ კაცების რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ ბიზნესში უკეთესი ლიდერი კაცია.



საქართველოში სამსახურის შოვნა კაცებისა და ქალებისათვის ერთნაირად რთულ პროცესად ფასდება. 2024 წლის კვლევაში ქალების უმრავლესობა (56.4%) და კაცების 47% მიიჩნევს, რომ საქართველოში კაცისა და ქალისთვის სამსახურის შოვნა თანაბრად ხელმისაწვდომია. 2019 წელთან შედარებით, ასეთი დამოკიდებულება ქალების შემთხვევაში 10.5%-ით, ხოლო კაცების შემთხვევაში - 6.8%-ით არის გაზრდილი (2019: ქალი - 45.9%, კაცი - 40.2%). გარდა ამისა, 10%-ით მცირდება რესპონდენტების რაოდენობა, ვინც თვლის, რომ სამსახურის

შოვნა ქალებისთვის უფრო ადვილია, ვიდრე კაცებისთვის.

„კაცებისა და ქალებისთვის კარიერული წინსვლა თანაბრად შესაძლებელია.“

ამ მოსაზრებას ეთანხმება:





ორივე წელს, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს კაცებთან შედარებით მეტი დაბრკოლების გადალახვა უწევთ კარიერული წინსვლისთვის.

გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევს, რომ კაცისთვის და ქალისთვის თანაბრად შესაძლებელია მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა. მსგავსი შეფასება მცირედით გამყარებულია 2024 წელს, 2019 წელთან შედარებით (2024: ქალი - 56.5%, კაცი - 49.5%; 2019: ქალი - 49.8%, კაცი - 44.9%). მეორე მხრივ, 2019 წლის მსგავსად, 10 რესპონდენტიდან 4 თვლის, რომ მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა შედარებით ადვილია კაცებისთვის.

ქალების 60% და კაცების 50.1% მიიჩნევს, რომ კარიერული წინსვლა თანაბარ სირთულეს წარმოადგენს, სქესის მიუხედავად. 2019 წელთან შედარებით, ქალებს შორის ეს მაჩვენებელი 10%-ით არის გაზრდილი, ხოლო კაცებისთვის უცვლელია. ამასთან, კაცებს შორის გაზრდილია (2024-40%; 2019-30%), ხოლო ქალებს შორის - შემცირებული (2024-31.4%; 2019-42.4%) იმ რესპონდენტების წილი, ვინც მიიჩნევს, რომ კარიერული წინსვლა კაცებისთვის უფრო ადვილია.

სურათი 3.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კაცებს ან ქალებს უფრო მარტივი კარიერული გამოცდილება აქვთ



რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (88%-95%) თავს კომფორტულად გრძნობს როგორც ქალი, ასევე კაცი უფროსის გარემოცვაში. თუმცა, ქალებს მეტად ურჩევნიათ ჰყავდეთ ქალი, ხოლო კაცებს კი კაცი უფროსი. ქალების 95.5% და კაცების 88.1% ამბობს, რომ თავს კომფორტულად იგრძნობდა, მათი უშუალო უფროსი ქალი რომ იყოს. რესპონდენტები ასევე კომფორტულად გრძნობენ თავს კაცი უფროსის ყოლის შემთხვევაში; თუმცა, ასეთ გარემოებაზე საუბრისას, ქალებს შორის პროცენტული მაჩვენებელი 6%-ით იკლებს, ხოლო კაცებისთვის 8%-ით იზრდება. 2019 წელთან შედარებით, კაცები მეტად მიმღებლები არიან ქალი უფროსის ყოლის იდეის მიმართ (გაზრდილია 14%-ით), ხოლო ქალებში 5%-ით იკლებს მათი წილი, ვინც კაცი უფროსის გარემოცვაში თავს კომფორტულად იგრძნობდა.

3.1: დამოკიდებულებები გენდერისა და სამუშაოს მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ ქალი და კაცი რესპონდენტები ქალის მიერ სამსახურის ქონას უპირატესობას ანიჭებენ, პარალელურად მიაჩნიათ, რომ ქალის პრიორიტეტები ტრადიციულ საქმიანობებზე უნდა ორიენტირდეს. რესპონდენტთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამსახურის ქონა საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ ქალმა თავი დამოუკიდებლად იგრძნოს. აღნიშნულ მოსაზრებას ქალების 82.2% და კაცების 70.1% ეთანხმება. მეორე მხრივ, ქალების 78.4% და კაცების 84% თვლის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის უკეთესია, თუ დედა არ მუშაობს და, ასევე, ქალების 51.4% და კაცების 64.5% მიიჩნევს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული განვითარება. საპირისპიროდ, მონაწილეების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ძირითადად კაცის მოვალეობაა მუშაობა და ოჯახისთვის ფულის შოვნა (2024: ქალი - 70.6%, კაცი - 70.8%).

2013 წელს, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის, ყველაზე მაღალი იყო რესპონდენტთა წილი, ვისაც მიაჩნდა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული განვითარება (მოსახლეობა - 88.5%; ქალი - 85.3%, კაცი - 92.2%). 2019 წლისთვის მნიშვნელოვნად ნაკლებია რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეხედულებას ეთანხმება (მოსახლეობა - 47.9%; ქალი - 38%, კაცი - 59.5%). 2024 წელს მაჩვენებლები კვლავ შესამჩნევად იმატებს, თუმცა 2013 წელზე დაბალი რჩება (მოსახლეობა - 57.5%; ქალი - 51.4%, კაცი - 64.5%).

ახალგაზრდა რესპონდენტები, უფროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით,

„ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა - პროფესიული განვითარება.“

ამ მოსაზრებას ახლა უფრო მეტი ადამიანი ეთანხმება, ვიდრე 5 წლის წინ.



თუმცა ნაკლები კონსერვატიულობით გამოირჩევიან ახალგაზრდები.

დებულების მხარდამჭერები 18-29 წლის მოსახლეობაში:



განსხვავებულად უყურებენ სამსახურსა და ოჯახს/შვილებს შორის პრიორიტიზებას, თუ დროის გადანაწილებას. ასეთი ტენდენცია შეინიშნება როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში. კონკრეტულად, ახალგაზრდა რესპონდენტების უფრო ნაკლები რაოდენობა ეთანხმება, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული კარიერის განვითარება (მოსახლეობა - 57.5%; ქალი: 18-29 წლის - 28.6%, 30-54 წლის - 47.7%,55 წლის და მეტის - 67.2%; კაცი: 18-29 წლის - 48.9%, 30-54 წლის - 65.3%, 55 წლის და მეტის - 76.6%).

სურათი 3.3: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ გენდერსა და სამუშაოსთან დაკავშირებულ მოსაზრებებს



თავი 4

ოჯახური ურთიერთობები და გენდერული დინამიკა

განსხვავებები განათლებასა და შემოსავლებს შორის

კვლევის სამივე რაუნდში როგორც ქალების, ასევე კაცების უმრავლესობა ამბობს, რომ მათ და მათ პარტნიორს/მეუღლეს ერთნაირი დონის განათლება აქვთ მიღებული. მნიშვნელოვანი განსხვავება წლების ან სქესის მიხედვით არ შეინიშნება; თუმცა, 2013 წლის შემდეგ, კაცების ოდენობა, ვინც ამავეს ადასტურებს დაახლოებით 6%-ული პუნქტით იზრდება (2024: ქალი-68.9%, კაცი-65.7%; 2019: ქალი-66.4%, კაცი-65.5%; 2013: ქალი-62.6%, კაცი-59.7%). კაცებისა და ქალების დაახლოებით მეხუთედი ამბობს, რომ მათ პარტნიორს უფრო მაღალი განათლება აქვს მიღებული, ვიდრე მათ.

სურათი 4.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ თავად და მათ პარტნიორებს ერთნაირი ან უფრო უკეთესი განათლება აქვთ მიღებული



ქალების მესამედი ამბობს, რომ მათ და პარტნიორს შორის შემოსავალი მხოლოდ პარტნიორს აქვს. ქალების მესამედი (32.1%) და კაცების მეოთხედი (24.1%) ადასტურებს, რომ წყვილს შორის კაცს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ქალს. კაცების შემთხვევაში მხოლოდ 6.6% იყო ისეთი, ვინც თქვა, რომ შემოსავალი მხოლოდ მათ პარტნიორს აქვს. ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მესამე კაცი ადასტურებს, რომ მათ და მათ პარტნიორს თანაბარი შემოსავლები აქვთ.

სურათი 4.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ თავად ან პარტნიორს უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ



გადაწყვეტილების მიღება წყვილს შორის

მნიშვნელოვან ფინანსურ გადაწყვეტილებებს პარტნიორები შედარებით ხშირად იღებენ ერთობლივად, ვიდრე ყოველდღიური ხარჯების შემთხვევაში. ქალების 57.6% და კაცების 60% ამბობს, რომ პარტნიორთან/მეუღლესთან ერთობლივად იღებდა გადაწყვეტილებას აუცილებელი საოჯახო საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით, როგორებიცაა საკვები, ტანსაცმელი, წამლები და სხვა. მსხვილი ინვესტიციების შემთხვევაში, როგორიც არის მანქანის, სახლის ან საოჯახო მოწყობილობების ყიდვა, ერთობლივ გადაწყვეტილებაზე მიუთითებს ქალები 65.6% და კაცების 66.6%.

ქალებისა და კაცების მეოთხედი ამბობს, რომ ყოველდღიურ ხარჯებთან დაკავ-შირებით გადაწყვეტილებას თავად იღებს. 2019 წელთან შედარებით ქალების წილი,

ვინც გადაწყვეტილებას თავად იღებდა 32.5%-იდან 27.3%-მდე მცირდება. კაცების შემთხვევაში შეინიშნება ზრდა 16%-დან 22%-მდე.

კაცები, ქალებთან შედარებით, უფრო ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას მსხვილი ინვესტიციების შემთხვევაში, ვიდრე ყოველდღიური ხარჯების თაობაზე. ყოველი მეხუთე ქალი ამბობს, რომ ისეთი ხარჯების შესახებ, როგორებიცაა მანქანის, სახლის ან საოჯახო მოწყობილობების ყიდვა, გადაწყვეტილებას მათი პარტნიორი იღებს. ყოველდღიური ხარჯების შემთხვევაში ამას ადასტურებდა ქალების მხოლოდ 11.9%

სურათი 4.3: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებ-ენ, თუ ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა ოჯახში



კაცების უმრავლესობა და ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ გა-დაწყვეტილებების მიღებისას ბოლო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო კარგი ცოლი ამ გადაწყვეტილებას ეჭვქვეშ არ დააყენებს. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი ჯგუფის კლებასთან ერთად, იკლებს იმ რესპონდენტების წილიც, ვინც თვლის, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს ეკუთვნის (ქალი: 18-29 წლის-26%, 30-54 წლის-40%, 55 წლის და მეტის-65%; კაცი: 18-29 წლის-55%, 30-54 წლის-69%, 55 წლის და მეტის-81%). კაცების 61.7% თვლის, რომ კაცებს უნდა შეეძლოთ მეგობრების არჩევა, მაშინაც კი, თუ ცოლი ამის წინააღმდეგია. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ქალის მიერ მეგობრის შერჩევას, კაცები ნაკლებად იზიარებენ იგივე მიდგომას (44.6%).



როგორც ქალების, ასევე კაცების 4/5 ეთანხმება დებულებას, რომ ქალებს საკუთარი ფულის განკარგვის უფლება უნდა ჰქონდეთ.

რესპონდენტთა წილი, ვინც 2013 წელს ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საბოლოო სიტყვა ოჯახში გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კაცს უნდა ეკუთვნოდეს (მოსახლეობა - 77.8%; ქალი - 69.7%, კაცი - 86.9%), მნიშვნელოვნად აღემატება მომდევნო წლების შედეგებს. 2019 წელს მოცემულ დებულებას ყველაზე ნაკლებად ეთანხმებოდა როგორც მთლიანად მოსახლეობა, ისე ქალები და კაცები (მოსახლეობა - 49.6%; ქალი - 34.1%, კაცი - 67.9%). **საინტერესოა, რომ 2024 წელს მოცემულ დებულებაზე დათანხმების მაჩვენებლები კვლავ იზრდება და უმრავლესობას შეადგენს.** ამასთან, დებულების მომხრე კაცები ნაწილი თითქმის უცვლელია, ხოლო ქალების შემთხვევაში 13%-ული პუნქტით იზრდება (მოსახლეობა - 57.2%; ქალი - 46.8%, კაცი - 69.2%).

სურათი 4.4: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან დებულებას გადაწყვეტილების მიღების შესახებ



აუნაზღაურებელი შრომის განაწილება

ოჯახში ქალებს თითქმის სრულად საკუთარ თავზე აქვთ აღებული საოჯახო საქმიანობები. 10 ქალიდან 9 ამბობს, რომ ძირითადად ისინი ასრულებენ ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა სარეცხის/ტანსაცმლის რეცხვა, სახლის დალაგება, აბაზანის და საპირფარეშოს დალაგება. 10 ქალიდან 8 ასევე საკუთარ მოვალეობად ასახელებს საჭმლის მომზადებას. ქალების უმრავლესობა (60.3%) მიიჩნევს, რომ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად ისინი აგვარებენ, თუმცა ქალებისა და კაცების დაახლოებით 40% ბავშვის მოვლის მოვალეობების გადანაწილებაზე საუბრობს. კაცებისა და ქალების უმრავლესობა (დაახლოებით 60%) სახლის შეკეთებას კაცი პარტნიორის საქმიანობად მოიაზრებს. წყვილი თითქმის თანაბრად აღნიშნავს, რომ საკვების ყიდვა და გადასახადების გადახდა პარტნიორებს შორის გადანაწილებული საკითხია. მეორე მხრივ, ქალებისა და კაცების მესამედი ამბობს, რომ გადასახადების გადახდა კაცის მიერ ხდება.

სურათი 4.5 პროცენტული მაჩვენებლები ქალი და კაცი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ, ტრადიციულად, ქალის საქმედ მიჩნეულ სამუშაოებს, ძირითადად, ასრულებენ ქალები, კაცები ან თანაბრად ინაწილებენ



ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობას მეტწილად ქალები იღებენ საკუთარ თავზე, თუმცა ამ პროცესში კაცებიც მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობენ. 10 ქალიდან 6 ამბობს, რომ ბავშვის მოვლა ძირითადად მათი მოვალეობაა, რასაც კაცების

ნახევარი (52.9%) ადასტურებს. მეორე მხრივ, ქალებისა და კაცების დაახლოებით 40% ამბობს, რომ ბავშვზე ზრუნვის საკითხები წყვილს შორის განაწილებულია.

2013 წელს ბავშვის მოვლაში თანაბარ მონაწილეობას ასევე დაახლოებით 40% ადასტურებდა, თუმცა 2019 წელს ასეთ პრაქტიკაზე ქალების მესამედზე ნაკლები (28.1%) მიუთითებდა, ხოლო ქალების 70.2% ამბობდა, რომ პასუხისმგებლობას ძირითადი თავად იღებენ. **კვლევის სამივე წელს ბავშვზე ზრუნვის საკითხები მეტწილად ქალების მოვალეობად რჩება.**

სურათი 4.6: რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას ოჯახში ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ



საოჯახო და სამსახურის საქმეების ერთმანეთთან შეთავსების შესაძლებლობა კაცებს მეტად აქვთ, ვიდრე ქალებს. 10 კაციდან 6 ამბობს, რომ არასდროს გასჭირვებია საოჯახო მოვალეობების შესრულება იმის გამო, რომ ძალიან დაკავებული იყო სამსახურში. ხოლო 10 კაციდან 7 ამბობს, რომ არასდროს გასჭირვებია სამსახურში კონცენტრირება იმის გამო, რომ საოჯახო საქმეებზე ფიქრობდა და დაღლილი იყო. ქალების შემთხვევაში კი, ნახევარი პირიქით მიუთითებს.

კაცებისა და ქალების უმრავლესობა ამბობს, რომ კმაყოფილია წყვილს შორის მოვალეობების არსებული განაწილებით. კმაყოფილებას აფიქსირებს კაცების 85.3% და ქალების 77.1%. საქმის არსებული განაწილების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს ქალების 13.1%, ხოლო კაცების მხოლოდ 5.8%. რესპონდენტები ძირითადად მიუთითებენ, რომ ქალი მეტ საოჯახო საქმეს აკეთებს, ვიდრე კაცი. ამას კაცების 65.6% და ქალების 51.9% ეთანხმება. მეორე მხრივ, 10 ქალიდან დაახლოებით 4-ის შეფასებით კაცი მათზე მეტს აკეთებს, რასაც კაცებს შორის მეხუთედი ეთანხმება.

როგორც ქალი, ისე კაცი რესპონდენტები ადასტურებენ, რომ მათ ოჯახში ძირითადად ქალების საქმიანობაა:



წყვილში მოვალეობების გადანაწილებით კმაყოფილების მაჩვენებლებში ცვლილება, კვლევის სამი რაუნდის ფონზე, კაცებს შორის გამოიხატება, რამდენადაც მათი კმაყოფილება 2019 წელს იკლებს, ხოლო 2024 წელს უბრუნდება 2013 წლის მაჩვენებელს. (2024-85.3%; 2019-77.7%; 2013-85.7%). ქალების შემთხვევაში წლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება, თუმცა 2024 წლისთვის კმაყოფილება მცირედით გაზრდილია (ქალი:2024-77.1%; 2019-73.2%; 2013-72.3%).

კაცებისა და ქალების საშინაო საქმეებში თანაბარ მონაწილეობას კაცები და ქალები ემხრობიან და მსგავს შეფასებებს აკეთებენ. 10 რესპონდენტიდან 7 მიიჩნევს, რომ კაცი ისევე უნდა იყოს ჩართული საოჯახო საქმეებში, როგორც ქალი. საპირისპიროდ, დაახლოებით მეოთხედია ისეთი, ვინც თვლის, რომ კაცები ქალების მსგავსად არ უნდა ჩაერთონ საოჯახო საქმის შესრულებაში.

ბავშვის აღზრდაში მამის როლი ფასდება როგორც მნიშვნელოვანი, თუმცა აღზრდაში პრაქტიკული მონაწილეობა კვლავ ქალის პასუხისმგებლობად რჩება. ქალებისა და კაცების 81% მიიჩნევს, რომ კაცის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მამობაა. ამავდროულად, კაცებისა და ქალების დაახლოებით 70% თვლის,

„კაცი ისევე უნდა იყოს ჩართული საშინაო საქმეში, როგორც ქალი.“

ამ მოსაზრებას ეთანხმება:





რომ ბავშვისთვის საფენის გამოცვლა, მისი ბანაობა და კვება დედის მოვალეობაა. დამატებით, დაახლოებით ამდენივე მიიჩნევს, რომ თუ ქმარი მუშაობს, ცოლი კი - არა, ცოლმა თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ საოჯახო საქმეებზეც, რომლებსაც ჩვეულებრივ კაცი აკეთებს.

ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობების მიმართ კონსერვატიული შეხედულება 2024 წლის კვლევაში გამყარებულია. კაცების წილი, ვინც თვლიდა, რომ ბავშვისთვის საფენის გამოცვლა, მისი ბანაობა და კვება დედის მოვალეობაა 2019 წლისთვის 79.5%-იდან 68.5%-მდე იყო შემცირებული (2013 წელთან შედარებით), თუმცა 2024 წელს კვლავ გაიზარდა და 73.4% შეადგინა.

სურათი 4.7: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ბავშვის მოვლის როლებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს



ფოკუს ჯგუფებში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რეპროდუქცია (დედობა) არის ქალის მთავარი ფუნქცია, ხოლო კაცის მოვალეობაა - ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვა. თუმცა, დისკუსიებში მონაწილეთა შეფასებით, ქალების ეკონომიკური გააქტიურება არსებულ პარადიგმას ცვლის. ერთი მხრივ, ქალების შრომის ბაზარზე მეტად გამოჩენამ ხელი შეუწყო ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას, თუმცა, მეორე მხრივ, კაცებს, მათი ძირითადი როლის - ოჯახების ფინანსური უზრუნველყოფის - ქალებისთვის განაწილება, ორივე სქესისთვის რთულად შესაგუებელი აღმოჩნდა. კონკრეტულად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებით, ოჯახში ქალსა და კაცს შორის საქმიანობა ოჯახის საჭიროებებისა და მისი წევრების შესაძლებლობების მიხედვით უნდა ნაწილდებოდეს. თუმცა, არსებობს ისეთი საქმიანობები, რომლებიც უპირატესად ქალებმა (მაგ., მშობლობასთან დაკავშირებული) ან კაცებმა (მაგ., ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა) უნდა შეასრულონ.

წყვილს შორის კომუნიკაცია

ყოველი მეოთხე ქალი ამბობს, რომ პარტნიორთან ყოველდღიური პრობლემების შესახებ ბოლოს დიდი ხნის წინ ილაპარაკა, ან არასდროს ულაპარაკია. კაცებს შორის ამავეს ადასტურებს 17.4%, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ქალებისა და კაცების მიერ ღიად საუბრის სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას. ქალების 36.3% და კაცების 44.3% ამბობს, რომ ყოველდღიური საკითხების შესახებ წყვილდა მიმდინარე კვირაში ისაუბრეს. კაცების მეხუთედი ამბობს, რომ პარტნიორთან ასეთი საკითხები ერთი და ორი კვირის წინ განიხილა, რასაც ქალების 15.5% ეთანხმება.

თავი 5

ურთიერთობები და ძალადობა

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელება

10 ქალში 1 მაინც მიუთითებს, რომ კაცი პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ეკონ-ომიკური ძალადობა. ქალი რესპონდენტების 13.2% ამბობს, რომ მათთვის პარტნიორს აუკრძალავს სამსახურის პოვნა ან სამსახურში სიარული, ხოლო 10.7%-სთვის პარტნიორს გამოურთმევია მათი გამომუშავებული ფული.

ქალები შედარებით ხშირად მიუთითებენ პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, ვიდრე ამას კაცები აღიარებენ ქალი პარტნიორის მიმართ. ქალების 11.9% ამბობს, რომ პარტნიორს მათთვის მიუყენებია შეურაცხყოფა ან დაუმცირებია ისინი. გარდა ამისა, 9.1% ამბობს, რომ მათთვის პარტნიორს მიუყენებია შეურაცხყოფა სხვა ადამიანების თანდასწრებით. 9.6% ამბობს, რომ ისინი პარტნიორს შეუშინებია ან დაუშინებია ყვირილით ან ნივთების სროლით. აღსანიშნავია, რომ კაცების მაქსიმუმ 3% ეთანხმება მსგავსი საქციელის ოდესმე ჩადენას თავიანთი პარტნიორის მიმართ.

კაცებისა და ქალების თანახმად, 90% ან მეტ შემთხვევაში ქალებს არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან სხვადასხვა ფიზიკური ძალადობის გამოვლინებები, მაგალითად, სილის გაწვნა, მუშტის დარტყმა, მოხრჩობა ან დამწვრობის მიყენება. კაცების 4% ამბობს, რომ ურთიერთობაში ერთხელ მაინც მიუმართავს ფიზიკური ძალადობისთვის.

ქალების 4.5%-ს განუცდია პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა. კაცების მხოლოდ 1.9% არის ისეთი, ვინც აღიარებს, რომ პარტნიორისთვის დაუძალებია დაემყარებინა სექსუალური კავშირი, მაშინ როდესაც ქალს ეს არ უნდოდა. როდესაც საუბარია სექსუალურ ძალადობაზე, ქალების 1.5% არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ ადამიანს, ვინც არ იყო მისი პარტნიორი, დაუტანებია ძალა, ჩაედინა სექსუალური ხასიათის ქმედება. რამდენიმე კითხვა ასევე შეეხებოდა ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობას, ქალების 2% ამბობს, რომ ციფრულ სივრცეში მათ მიუღიათ მუქარა ინტიმური მასალის გამოქვეყნებაზე, ან ჰქონიათ სექსუალური ხასიათის ძალადობის სხვა გამოცდილება.

ძალადობასთან დაკავშირებული აღქმები და ნორმები

ქალ პარტნიორზე სხვადასხვა ტიპის ძალადობის ფორმები ნაწილობრივ ნორმალიზებულია და მათ კაცები შედარებით ხშირად მიიჩნევენ დასაშვებად. კაცების 43.5% და ქალების 23.9% თვლის, რომ ქალმა არ უნდა უთხრას ქმარს უარი სექსზე. კაცების მეხუთედი (22.2%) თვლის, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად და არის სიტუაციები, როდესაც ქალი იმსახურებს ცემას (19.8%). **კაცების თითქმის ნახევარი თვლის (46.3%), რომ ძალადობა ქმარსა და ცოლს შორის პირადი საკითხია და სხვები ამაში არ უნდა ჩაერიონ, რასაც ქალების 37.4% ეთანხმება.**

სურათი 5.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან აზრს ძალადობის შესახებ



2019 წელთან შედარებით, 2024 წელს გაზრდილია რესპონდენტების წილი, ვინც თვლის, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად. შედარებით ახალგაზრდა რესპონდენტები ნაკლებ მიმღებლობას ავლენენ ოჯახში ძალადობის მიმართ, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები. (მოსახლეობა- 19.3%; ქალი: 18-29 წლის-3.1%, 30-54 წლის-11.7%,55 წლის და მეტის-29.4%; კაცი: 18-29 წლის-13.8%, 30-54 წლის-19.3%, 55 წლის და მეტის-33%). კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17.8%-იდან 22.2%-მდე გაიზარდა, ხოლო ქალების შემთხვევაში - 10.1%-იდან 16.6%-მდე. მეორე მხრივ, 2019 და 2024 წლებში მსგავსია ქალებისა და კაცების წილი, ვინც ეთანხმება, რომ არის სიტუაციები როდესაც ქალი იმსახურებს ცემას.

გამოკითხული ქალებისა და კაცების ნახევარი მიიჩნევს, რომ ქალ პარტნიორებზე ნებისმიერი სახის ძალადობა ნორმალიზებულია/ჩვეულებრივი ამბავია. 2019 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი ქალებისთვის 64.2%-იდან 55.3%-მდე არის შემცირებული, ხოლო კაცების შემთხვევაში თითქმის უცვლელია. ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მეხუთე კაცი იცნობს ერთ ქალს მაინც, რომელსაც გამოუცდია ოჯახში ძალადობის რაიმე ფორმა. 2019 წელს მაჩვენებლები მსგავსი იყო.

ქალები მეტად ინფორმირებულნი არიან ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების დახმარების სხვადასხვა რესურსებზე, ვიდრე კაცები. უმრავლესობა ინფორმირებულია ცხელი ხაზის და თავშესაფრის არსებობის შესახებ, თუმცა ნაკლები ინფორმაცია აქვთ კრიზისულ ცენტრებზე. გარდა ამისა, ქალებისა (83.6%) და კაცების (79.5%) 4/5 თანხმდება, რომ მისაღებია დაზიანების მქონე ქალებს ექიმმა ჰკითხოს, დაზიანებები ხომ არ არის გამოწვეული ძალადობით.

სურათი 5.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სხვადასხვა რესურსცენტრების შესახებ



ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამომწვევი ფაქტორების შესახებ შეხედულებები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა, პირველ რიგში, ქალების, შეფასებით, მთავარი საფრთხე, რასაც ქალები აწყდებიან საქართველოში, არის მათ **მიმართ განხორციელებული**

ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. რესპონდენტები განსაკუთრებით გამოყოფენ ქალების მიმართ ფიზიკური ძალადობას. ქალმა რესპონდენტებმა გაიხსენეს ბოლო პერიოდში მომხდარი ფემიციდის არაერთი შემთხვევა. ძალადობის მიზეზებზე საუბრისას აღინიშნა, რომ ქალების მიმართ ძალადობა განსაკუთრებით განქორწინების შემდეგ ხდება. ფოკუს ჯგუფების მონაწილე კაცების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ კაცებს ახასიათებთ ქალების (მეტწილად მეუღლეების) მიმართ აგრესიულობა, რასაც კაცები მათივე სქესის მიმართ არ ავლენენ. ამით რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ კაცების ფიზიკურ უპირატესობაზე:

> *„ზოგიეჰთმა კაცმა იცის, ჰომ ქაღს ადვიღად ღაჩაგჰავს, ჰადგან ის წინააღმდეგობას ვეჰ გაუწევს“ (34 წღის კაცი; ქ. ქუთაისი).*

რესპონდენტების შეფასებით, ქალის მიმართ ძალადობა ძირითადად ეჭვიანობის ნიადაგზე ხდება.

5.1: მითები გაუპატიურების შესახებ

გაუპატიურების შესახებ მითების კაცებს უფრო სჯერათ, ვიდრე ქალებს. თითქმის ყოველი მესამე კაცი ეთანხმება, რომ გაუპატიურების შემთხვევის დროს ისმის კითხვა, ხომ არ აქვს გაუპატიურებულ ქალს ცუდი რეპუტაცია. ასევე, თუ ქალი ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება კაცს, ვერ იტყვი, რომ ეს გაუპატიურება იყო. ამ დებულებებს ყოველი მეოთხე ქალი ეთანხმება. კაცების მეხუთედი თვლის, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს უნდათ, რომ გააუპატიურონ, რასაც ქალების 12.1% ეთანხმება. ყოველი მეხუთე კაცი, ასევე, თვლის, რომ ზოგადად, როდესაც ქალს აუპატიურებენ ეს ნიშნავს, რომ მან რაღაც ისეთი გააკეთა, რომ თავი ამ მდგომარეობაში ჩაიგდო. ქალებს შორის ამ მოსაზრებას 10.9% ეთანხმება. კაცების 17.1% და ქალების 14.2% თვლის, რომ თუ ქალს ფსიქო-სოციალური საჭიროებები აქვს, ვერ იტყვი, რომ ეს გაუპატიურება იყო.

2019 წელთან შედარებით, 14.4%-იდან 21.2%-მდე არის გაზრდილი კაცი რესპონდენტების წილი, ვინც გაუპატიურების შემთხვევას ქალის დაუდევრობას უკავშირებს. მეორე მხრივ, კაცების წილი, ვინც თვლის, რომ ფიზიკური წინააღმდეგობის გარეშე ინციდენტი არ განიხილება, როგორც გაუპატიურება, 50.4%-იდან 35.1%-მდე არის შემცირებული.

კაცების 20.2% მიიჩნევს, რომ ქალებს რეალურად სურთ, რომ ისინი გააუპატიურონ. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 32.9% იყო.

სურათი 5.3: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან მითებს გაუპატიურების შესახებ





თავი 6

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და დედათა ჯანმრთელობა

სექსის მიმართ დამოკიდებულებები და კონტრაცეფცია

კაცებისა და ქალების ნახევარი მიიჩნევს, რომ წყვილმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეფციის საშუალებას გამოიყენებენ. 10 კაციდან 4 თვლის, რომ ორსულობისგან თავის დაცვა ქალის პასუხისმგებლობაა, რასაც ქალების მესამედი ეთანხმება. მეორე მხრივ, მსგავსი პროპორციით, კაცების 42.8% და ქალების 30.9% ფიქრობს, რომ ქალები, რომლებიც კონდომს ატარებენ, ადვილად ხელმისაწვდომები არიან. დამატებით, კაცების მესამედი და ქალების მეხუთედი ფიქრობს, რომ დაუშვებელია ქალმა ქმარს კონდომის გამოყენება მოთხოვოს.

კაცების ნახევარი, ხოლო ქალების 2/5 თვლის, რომ კაცები მუდამ მზად არიან სექსისთვის. გარდა ამისა, კაცების მეოთხედი ფიქრობს, რომ კაცს სხვა ქალებიც სჭირდება, მაშინაც კი, თუ მეუღლესთან კარგი ურთიერთობა აქვს. ასეთ მიდგომას ქალების 12.9% ეთანხმება. 2019 წელთან შედარებით 64.9%-იდან 55.7%-მდე არის შემცირებული კაცების წილი, ვინც თვლის, რომ კაცები მუდამ მზად არიან სექსისთვის. ხოლო 39.9%-იდან 27.3%-მდე არის შემცირებული კაცების ნაწილი, ვინც მიიჩნევს, რომ კაცს სხვა ქალებიც სჭირდება.

სურათი 6.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ ან სრულიად დაეთანხმნენ დებულებებს სექსისა და კონტრაცეფციის შესახებ



მამების მონაწილეობა ბავშვის დაბადებამდე და შემდგომ პროცესებში

დაბალია კაცების წილი, ვინც ამბობს, რომ თავიანთი შვილის დაბადებას დასწრებია. ამ თვალსაზრისით, მონაცემები 2024 და 2019 წლებს შორის მსგავსია. 2024 წელს ქალების 7.5% და კაცების 8.2% იყო ისეთი, ვინც ამბობს, რომ მამა ბავშვის დაბადებას ესწრებოდა. 2019 წელს ეს მაჩვენებლები ქალების თანახმად 6.5%, ხოლო კაცების მიხედვით - 7.4% იყო. კაცების მხოლოდ 1.3% ადასტურებს, რომ სამსახურიდან შვებულება აუღია ან თავი გამოუთავისუფლებია, როდესაც ბავშვი გაუჩნდა.

ქალებისა და კაცების ნახევარი თვლის, რომ არ არის მისაღები კაცი დაესწროს თავისი შვილის დაბადებას, ხოლო დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ ასეთი პრაქტიკა მისაღებია. 2019 წელთან შედარებით, 2024 წელს 48.1%-დან 36.8%-მდე შემცირებულია ქალების წილი, ვინც თვლის, რომ მისაღებია კაცი დაესწროს მშობიარობას.

10 ქალიდან 6 ამბობს, რომ მათი პარტნიორი ერთხელ მაინც გაჰყოლია ანტენატალურ ვიზიტზე, რასაც 10 კაციდან 7 ეთანხმება. ქალების მესამედისა და კაცების მეოთხედის თქმით, კაცი პარტნიორი არასდროს გაჰყოლია მეუღლეს ანტენატალურ

ვიზიტზე. 2019 წელთან შედარებით, 2024 წელს იმ კაცების წილი, ვინც მეუღლესთან ერთად ვიზიტზე არ არის ნამყოფი 16.7%-დან 23.3%-მდე გაიზარდა.

კაცების მონაწილეობა ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ქალებისა (82.8%) და კაცების (83.3%) უმრავლესობა ადასტურებს, რომ აბორტის გაკეთებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში ორივე პარტნიორი მონაწილეობდა. ქალების 14.2%-მა გადაწყვეტილება თავად მიიღო, ხოლო კაცებს შორის 9% არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ გადაწყვეტილება მას ეკუთვნოდა. 2019 წელს აბორტის შესახებ ერთობლივ გადაწყვეტილებაზე მიუთითებდა ქალების 58.6% და კაცების 64.5%, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 2024 წლის შედეგებზე.

სურათი 6.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, ვინც განაცხადა, რომ აბორტი გაუკეთებია



თავი 7

ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზოგადი მდგომარეობა

კაცების ნახევარი, ხოლო ქალების 40.4% თავიანთ ჯანმრთელობას აფასებენ როგორც კარგს ან ძალიან კარგს. ქალების 44.7% საკუთარ ჯანმრთელობას საშუალოდ აფასებს, ხოლო კაცებს შორის ასეთია 38.4%. ქალების 14.7% და კაცების 10.3% ამბობს, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ცუდი, ან ძალიან ცუდია.

ქალებისა და კაცების ნახევარს გასული წლის განმავლობაში მიუმართავს კლინიკისთვის ან საავადმყოფოსთვის. კაცების მეხუთედი ამბობს, რომ მსგავსი სერვისით არ უსარგებლია გასული 5 წლის განმავლობაში ან არასდროს უსარგებლია. ქალების შემთხვევაში ასეთია 17.1%. გასული 1-2 წლის შუალედში ჯანდაცვის სერვისისთვის მიუმართავს ქალების 28.8%-ს და კაცების 30.4%-ს. 2019 წელთან შედარებით, 68.2%-დან 59.8%-მდე შემცირებულია ქალების წილი ვინც ჯანდაცვის სერვისი 1 წლის განმავლობაში გამოიყენა.

სხვადასხვა ნივთიერების მოხმარება და შედეგები

იმ ქალების პროცენტული წილი, ვისაც გასული 12 თვის განმავლობაში ვისაც ერთ ჯერზე დაულევია 5-ზე ნაკლები ჭიქა ალკოჰოლური სასმელი, კაცების წილს მნიშვნელოვნად აღემატება. ქალების ნახევარი ამბობს, რომ გასულ 12 თვეში ასეთი გამოცდილება არ ჰქონია, ხოლო მეხუთედი ამბობს, რომ ალკოჰოლს საერთოდ არ სვამს. კაცების 75.7%-ს ასეთი გამოცდილება ერთხელ მაინც ჰქონია - მეხუთედს წელიწადში რამდენჯერმე, ხოლო მეოთხედს უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში ერთხელ. 2019 წელს კაცებისთვის ეს მაჩვენებელი 82% იყო.

თითქმის ყველა რესპონდენტმა უარყო გასული წლის განმავლობაში ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. კაცების 5% იყო ისეთი, ვისაც ასეთი გამოცდილება ჰქონია. ამ თვალსაზრისით 2024 და 2019 წლებს შორის ტენდენცია მსგავსია.

ფსიქიკური ჯანმრთელობა, სოციალური მხარდაჭერა და ცხოვრებით კმაყოფილება

ქალებისთვის ოჯახის წევრები/ნათესავები და პარტნიორები/მეუღლეები არიან სოციალური თერაპიის ძირითადი წყაროები. 2024 წელს იზრდება იმ ქალების რაოდენობა, ვინც დახმარებისთვის ოჯახის წევრებს და ნათესავებს მიმართავს (2024-30%, 2019 -27.3%, 2013-20.2%); თუმცა, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ ქალების წილი, ვინც მხარდაჭერას პარტნიორისგან/მეუღლისგან იღებს (2024-26.7%, 2019-24.3%, 2013-29.1%). საპირისპიროდ, 2024 წელს იზრდება იმ კაცების წილი, ვინც დახმარებისთვის სხვა ადამიანებს არ მიმართავს - ესაა მეოთხედზე მეტი, მაშინ როდესაც კვლევის წინა ორ რაუნდში დაახლოებით მეხუთედია ასეთ კაცთა რაოდენობა (2024-27.4%, 2019-19.2%, 2013-19.1%).

სურათი 7.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, თუ ვის მიმართავენ დახმარებისთვის, როდესაც სასოწარკვეთა ან სევდა ეუფლებათ



რესპონდენტები ადასტურებენ, რომ გასული 2 კვირის განმავლობაში უხასიათოდ ყოფილან, თუმცა ამბობენ, რომ თვითმკვლელობის შესახებ ფიქრები არ ჰქონიათ. როგორც ქალების, ასევე კაცების ნახევარზე მეტი აფიქსირებს, რომ რაიმეს გაკეთების სურვილი ნაკლებად გასჩენია (ქალი-58%, კაცი-53.4%). რესპონდენტების თითქმის ნახევარი ადასტურებს, აგრეთვე, რომ გასულ 2 კვირაში ჰქონდა ენერგიის ნაკლებობის, დეპრესიის და იმედგაცრუების შეგრძნება. თუმცა, ქალებისა და კაცების

დიდ უმრავლესობას გასული ორი კვირის განმავლობაში თვითმკვლელობის შესახებ ფიქრები არ ჰქონია.

სურათი 7.2: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებმაც განაცხადეს დეპრესიის სიმპტომების არსებობის შესახებ, გასული ორი კვირის განმავლობაში



თავი 8

ბავშვობის გამოცდილება

მშობლების განათლება და სამსახური

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს მშობლების მიერ მიღებული განათლების დონეზე. რესპონდენტები უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ მათ მშობლებს მიღებული აქვთ საშუალო (დედა: ქალი-40.3%, კაცი-37.2%; მამა: ქალი-43.1%; კაცი-45.9%) განათლება. თუმცა, მნიშვნელოვანი რაოდენობა მიუთითებს მშობლების საშუალო-ტექნიკურ (დედა: ქალი-18.9%, კაცი-19.5%; მამა: ქალი-20.1%; კაცი-20.8%), ან უმაღლეს განათლებაზე (დედა: ქალი-20.4%, კაცი-21.4%; მამა: ქალი-18.5%; კაცი-17.5%).

დაახლოებით ნახევარს შეადგენს იმ რესპონდენტთა წილი, ვისი დედაც, რესპონდენტის ბავშვობაში, სახლის გარეთ მუშაობდა (ქალი-45.8%, კაცი-47.6%), ან არ მუშაობდა (ქალი-49.5%, კაცი-48.7%).

სურათი 8.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, მათი მშობლების განათლების დონის განაწილების მიხედვით



კაცების ჩართულობა საოჯახო საქმეებში რესპონდენტების ბავშვობის გამოცდილებით

რესპონდენტების თანახმად, ბავშვობაში ან მოზარდობაში მათი მამა ან ოჯახის სხვა კაცი წევრი ნაკლებად იყო ჩართული სახლის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში. 10 რესპონდენტიდან 7 (როგორც ქალი, ასევე კაცი) ამბობს, რომ ბავშვობაში ან მოზარდობაში მათი მამა, ან სხვა კაცი ოჯახში, იშვიათად ამზადებდა საჭმელს, ალაგებდა სახლს, რეცხავდა ტანსაცმელს ან ალაგებდა აბაზანას ან საპირფარეშოს.

კაცებისა და ქალების დაახლოებით 40% ამბობს, რომ მათი მამა ან სხვა კაცი ოჯახში იშვიათად უვლიდა მათ ან მათ და-ძმას. ქალების მეოთხედი ამბობს, რომ ოჯახის კაცი წევრი ბავშვებს თვეში რამდენჯერმე უვლიდა, რასაც კაცების მეხუთედი ადასტურებს. გამოკითხულთა 14% ამბობს, რომ მამა ან ოჯახის წევრი სხვა კაცი მათ ყოველდღე უვლიდა.

ოჯახის წევრი კაცები მეტ ჩართულობას იჩენდნენ საოჯახო ნივთების ყიდვის ან საოჯახო საქმეებში ჩართვის თვალსაზრისით. გამოკითხულთა მესამედი ამბობს, რომ მამა თვეში რამდენჯერმე ყიდულობდა საოჯახო ნივთებს და ამდენივე ადასტურებს, რომ ის ჩართული იყო საოჯახო საქმეებში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში კაცების მონაწილეობა ბავშვობის გამოცდილებით

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ მათთან და მათ და-ძმებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს ორივე მშობელი იღებდა შეთანხმებით. მეორე მხრივ, 10 რესპონდენტიდან 4 ამბობს, რომ შვილებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს მამა იღებდა. 13%-ში გადაწყვეტილების მიმღები იყო დედა.

ქალებისა და კაცების ნახევარი მიუთითებს, რომ მსხვილ ინვესტიციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება მათ ოჯახში მშობლებს შორის შეთანხმებით ხდებოდა. თუმცა, რესპონდენტთა დაახლოებით 40% ამბობს, რომ გადაწყვეტლებას მამა იღებდა. მსხვილი ინვესტიციების შემთხვევაში დედის გადაწყვეტილებაზე მიუთითებს 6.3%.

ძალადობის გამოცდილება ბავშვობაში

კაცები ბავშვობის პერიოდში ოჯახში ან სკოლაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი შედარებით ხშირად გამხდარან, ვიდრე ქალები. კაცების მეხუთედი ამბობს, რომ მოზარდობის პერიოდში მშობლებმა სახლში სცემეს ან სილა გააწნეს. ასეთი გამოცდილება ჰქონია ქალების 13.7%-ს. გარდა ამისა, კაცების 14.8% ამბობს, რომ მოზარდობისას მასწავლებელმა სცემა ან ფიზიკურად დასაჯა სკოლაში. ქალებისა და კაცების 5% ამბობს, რომ, სანამ 18 წლის გახდებოდა, სკოლაში ბულინგის მსხვერპლი იყო. კაცებისა და ქალების დაახლოებით 6% ადასტურებს, რომ მოზარდობის პერიოდში უნახავს ან გაუგონია როგორ სცემდა დედა ს მისი ქმარი ან პარტნიორი.

რესპონდენტები არ აღნიშნავენ მოზარდობის პერიოდში სექსუალური ძალადობის შემთხვევების არსებობას. კვლევის მონაწილეები უარყოფენ როგორც სქესობრივი კავშირის, ასევე, ინტიმურ ადგილებზე შეხების გამოცდილებასაც.

თავი 9

მოვლა და აღზრდა

ბავშვებზე ზრუნვის გადანაწილება

ბავშვზე ზრუნვის საკითხებს საკუთარ თავზე ძირითადად ქალები იღებენ, ან ეს მოვალეობები წყვილს ორის ნაწილდება. კონკრეტულად, ქალები საკუთარ საქმიანობად ასახელებენ ბავშვებზე ყოველდღიურ ზრუნვას (69.9%), სახლში დარჩენას (63.2%), თამაშს ან მათ გართობას (52%), ტანსაცმლისა და საფენის გამოცვლას (76%), პირად საკითხებზე საუბარს (52.7%), დავალებების შესრულებაში მიხმარებას (58.6%) და დაძინებას (70.5%).

ბავშვზე ზრუნვის პრაქტიკებში **ორი საქმიანობა გამოიკვეთა, რომლებშიც კაცები საკუთარ მონაწილეობას 2024 წელს გაცილებით ხშირად ადასტურებენ, ვიდრე 2019 წელს.** კონკრეტულად, დადებითი ტენდენცია ფიქსირდება ბავშვის ბანაობისა (18%) და ბავშვის დაძინების (17.9%) თვალსაზრისით. მიუხედავად წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებისა, ეს მონაცემები მაინც აჩვენებს, რომ ბავშვზე ზრუნვა საქართველოში არსებითად ქალის, კერძოდ, დედის, მოვალეობად მიიჩნევა და კაცებს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრიათ.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე კაც რესპონდენტებში დომინირებდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ არსებობს კაცისთვის სათაკილო საქმიანობა, როცა საქმე ბავშვის აღზრდას შეეხება. თუმცა, ამავდროულად, როგორც ქალების, ისე კაცების დიდი ნაწილის შეფასებით, ბავშვის აღზრდა პირველ რიგში ქალის მოვალეობაა.

სურათი 9.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, თუ რამდენად ხშირად დაკავებულან ისეთი საქმიანობით, რაც ბავშვის აღზრდას უკავშირდება



ბავშვის დისციპლინა

ბავშვების დისციპლინისათვის მნიშვნელოვანი ნაწილი იყენებს სიტყვიერ შენიშვნას, თუმცა გამოკითხულთა ნაწილი ასევე მიმართავს ფიზიკურ დასჯას. 10 რესპონდენტიდან 4 ადასტურებს, რომ ბავშვებთან ვერბალურ დისციპლინას ხშირად ან ძალიან ხშირად იყენებს. ფიზიკურ დასჯას ხშირად ან ძალიან ხშირად მიმართავს ქალების 29% და კაცების 25.1%. მეორე მხრივ, ქალებისა და კაცების დაახლოებით ნახევარი ამბობს, რომ ბავშვის ცემის პრაქტიკას არ იყენებს.

თავი 10

გენდერული თანასწორობა, კანონი და პოლიტიკა

კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის აღქმა

კაცების მეოთხედი და ქალების მესამედი ფლობს ინფორმაციას შრომის კოდექ-სში შეტანილი ცვლილების შესახებ, რაც კაცებს აძლებს საშუალებას, ისარგებლონ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. გამოკითხულთა ნახევარი ამბობს, რომ არ იცის ასეთი კანონი არსებობს, თუ არა, ხოლო მეხუთედი აფიქსირებს, რომ ასეთი კანონი არ არსებობს.

კაცების ნახევარზე მეტი ემიჯნება შეხედულებებს, რომ თუ კაცი ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში გადის, ეს მის სისუსტეზე მიანიშნებს (57%) ან სამსახურში მისი ავტორიტეტი შეილახება (58%). ამავდროულად, ყოველი მესამე კაცი ამ მოსაზრებებს იზიარებს.

კაცების ნახევარი (49%), ხოლო ქალების ნახევარზე მეტი (58.7%) თვლის, რომ აუცილებელია არსებობდეს მამების დეკრეტული შვებულების შესახებ კანონი. მეორე მხრივ, კაცების მეოთხედი არსებული კანონის საჭიროებას ვერ ხედავს. ქალებში კანონის არსებობის აუცილებლობას არ ეთანხმება 16.6%.

სურათი 10.1: პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტებისა, რომლებმაც იციან მამის დეკრეტული შვებულების არსებობის შესახებ და ვინც თანხმდება, რომ ეს საჭიროა



გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის აღქმა

10 რესპონდენტიდან 6 ინფორმირებულია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის არსებობის შესახებ. დაახლოებით მეოთხედი ამბობს, რომ არ იცის ასეთი კანონი არსებობს, თუ არა, ხოლო მცირე ნაწილი კანონის არსებობას უარყოფს (ქალი-8.8%; კაცი-13.3%).

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის აღქმა

5 ქალიდან 4 ფლობს ინფორმაციას კანონის შესახებ, რომელიც კრძალავს ქალთა მიმართ ძალადობას. კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მცირედით ნაკლებია და 70.6%-ს უტოლდება. კაცების მეხუთედი ამბობს, რომ არ იცის ასეთი ტიპის კანონი არსებობს, თუ არა - რაც ქალების შემთხვევაში 15.2%-ია. 2019 წელთან შედარებით კაცების ინფორმირებულობა 5%-ით შემცირდა, ხოლო ქალების 7%-ით გაზიარდა.

შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ

10 დან 6 შემთხვევაში ქალებისა და კაცების უმრავლესობისთვის გენდერული თანასწორობა ასოცირდება კაცებისა და ქალების თანასწორ უფლებებთან. ყოველი მეათე მონაწილე თვლის, რომ გენდერული თანასწორობა უშუალოდ ოჯახის ჭრილში მოვალეობების გადანაწილებას გულისხმობს მსგავს შეფასებებს ასევე ადასტურებს **ფოკუს ჯგუფები**, სადაც მონაწილეებისთვის გენდერული თანასწორობა გაიგივებულია ქალსა და კაცს, უფრო კონკრეტულად კი, ცოლ-ქმარს შორის შრომის თანასწორ განაწილებასთან:

> *„მე ასე მესმის გენდეჰუდი თანასწოჰობა, ჰომ ცოდ-ქმაჰი უნდა იყოს თანასწოჰუფდებიანები და ოჯახში თანაბჰად გაინაწიდონ საქმეები“ (65 წდის კაცი; ქ. ქუთაისი).*

2019 წელთან შედარებით 11.3%-იდან 4.6%-მდე შემცირებულია იმ ქალების წილი, ვინც მიიჩნევდა, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ ქალებისთვის უფლებების მინიჭებას ნიშნავდა.

2024